ოქმი N 6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 29 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. ფრიდონი შონია
4. სერგო ბერაია
5. აკაკი მალანია
6. გურიელ ქარდავა
7. ბადრი რიჟამაძე
8. ფელიქსი წურწუმია
9. ნინო ბოკუჩავა
10. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 23 მაისის N50-502214338 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე).
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 27 მაისის N51-51221474 წერილის განხილვა (ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებასთან დაკავშირებით.)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 27 მაისის N51-51221475 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესახებ.)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ. თათარიშვილის 2022 წლის 23 ივნისის N51-51221741 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი

სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 28 ივნისის N50-502217931 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10,

წინააღმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი საკითხი

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ.ბუკიას 2022 წლის 23 მაისის N50-502214338 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი 3 თვის მაჩვენებლებით, დაგეგმილის შესაბამისად სრულდება

ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 27 მაისის N51-51221474 წერილის განხილვა. (ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებასთან დაკავშირებით.)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ.

იოსავას 2022 წლის 27 მაისის N51-51221474 წერილი. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ძალიან დაბალია სახელფასო განაკვეთები, ხოლო ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ფინანსური ინფლაციიდან გამომდინარე აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოიძებნოს ბიუჯეტში სახსრები ხელფასების გაზრდის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ რომ წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით საკრებულოს ბიუროს წევრებთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად დამატებით განხილულ იქნეს წარმოდგენილი წინადადება.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 27 მაისის N51-51221475 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ. იოსავას წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესახებ. ასევე კომისიას წარედგინა ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვნილი ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №33 განკარგულების თანახმად გეგმის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. მერიის განმარტებით საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტში გათვალისწინებული გენერალური განაშენიანების გეგმის შემუშავება ფინანსური სახსრების გათვალისწინებით ხდება ეტაპობრივად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გაწერილი ვალდებულებების შესრულება არ ხორციელდება მერიის მხრიდან გეგმის შესაბამისად

ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ. თათარიშვილის 2022 წლის 23 ივნისის N51-51221741 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი

სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების ცვლილება რომელიც შეეხება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში გათვალისწინებული ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციის, იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში გადატანას რანგის გაზრდის ხარჯზე. აქვე განმარტა რომ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1100 ლარს, ხოლო პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანმდებობრივი სარგო - 1430 ლარს, რანგის ცვლილების შემთხვევაში სხვაობა თვეში შეადგენს 330 ლარს. კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდგომ, რაც ითვალისწინებს შიდა კონკურსს, აღნიშნული სხვაობა შესაძლებელია ანაზღაურდეს, ამ ეტაპზე საკრებულოს სახელფასო ფონდში არსებული ეკონომიიდან, კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტური თანამდებობების შედეგად მიღებული ეკონომიიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10,

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 28 ივნისის N50-502217931 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში პირველი

იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან აისახა 1100,0 ათასი ლარი, მუხლის ,,არაფინანსური აქტივები“ ასიგნებაზე, მათ შორის: 250,0 ათასი ლარი - ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზების ჩიხების რეაბილიტაციის სამუშაოების

ასიგნებაზე, ხოლო 7,5 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე; 850,0 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საქირიოს უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნებაზე, ხოლო 5,0 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება-გადაანგარიშების ასიგნებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10,
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია